საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1009 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 24 მაისის №5/25899 გადაწყვეტილება, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული ქონების ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 6 ივნისის
№1009 განკარგულების
დანართი

№	მისამართი	შენობა-ნაგებობ(ებ)ის ჩამონათვალი და ფართობი (კვ.მ)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლასურიაში	№1 განაშენიანების ფართი 211 კვ.მ, №2 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ	6922	89.08.25.002
2	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღვირიში	№1, №2	1438	89.07.24.003
3	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხუტელი	№1	2075	89.02.33.015